სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ანგარიში
2021

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, სკოლებში უსაფრთხო, პოზიტიური, ზრუნვაზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს ხელშეწყობისა და განმტკიცების მიზნით, 2021 წელს, გასული წლების მსგავსად, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა[1].

საუკეთესო დასავლური გამოცდილების გათვალისწინებით, ადგილობრივ და ევროპელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა სკოლებში სოციალური მუშაობის მოდელი შეიმუშავა. დაიწყო საგანმანათლებლო სივრცეში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერება და სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა, მათი მშობლებისა და პედაგოგების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, მოსწავლეთა ეფექტიანი სოციალური ფუნქციონირებისათვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, თბილისსა და რეგიონებში, ახალი სოციალური მუშაკები დაემატნენ და მათი რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. სოციალური მუშაობის კომპონენტით, მანდატურის სამსახური შევიდა 36 საჯარო სკოლაში (თბილისი, მცხეთა, თელავი, რუსთავი, გორი, ახალციხე, ამბროლაური, იმერეთი, ფოთი, ბათუმი, ხელვაჩაური).

ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, როდესაც სოციალური მუშაკი სასკოლო ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდა და ის თავის ფუნქცია-მოვალეობებს უშუალოდ ადგილზე ახორციელებს. აქამდე, სოციალური მუშაობა სკოლებში საჭიროებისამებრ, ინტერვენციის ფარგლებში ხორციელდებოდა.

სკოლებში განაწილებამდე, სოციალურმა მუშაკებმა ინტენსიური გადამზადების საორიენტაციო პროგრამა გაიარეს. სასწავლო წლის დაწყებამდე, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი განგრძობით განათლებაში (ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ადამიანური, ინტელექტუალური რესურსებისა და გარე რესურსების მობილიზებით), რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას, ასევე, მომსახურების ერთიანი, ეფექტიანი მიდგომის გაუმჯობესებას.

ცენტრში დასაქმებული ახალი სოციალური მუშაკები გაეცნენ სოციალური მუშაობის მეთოდს - AERO (რეცეპტი ბედნიერი, ბალანსირებული ცხოვრებისათვის), რაც აუმჯობესებს სპეციალისტსა და მომსახურების მიმღებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას და პრობლემაზე/საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებას.

---

[1] გასულ წლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის ნახვა შესაძლებელია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.mandaturi.gov.ge

10 სოციალური მუშაკი, სოციალურ მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის მიერ, გადამზადდა შემდეგ თემებზე: შრომით კოდექსში შესული უახლესი ცვლილებები; დისკრიმინაცია სამუშაო ადგილას; სოციალური მუშაობის შესახებ კანონი და მისი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები; გაფიცვა და კოლექტიური ხელშეკრულებები.

ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით შევიდა, სკოლაში სოციალური მუშაობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა შეხვედრები როგორც სკოლის ადმინისტრაციასა და პერსონალთან, ასევე მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

სკოლებში განაწილების პირველ ეტაპზე, სოციალურმა მუშაკებმა სკოლის საჭიროებების მოკვლევა დაიწყეს. სკოლის საჭიროებების განსაზღვრის, ასევე, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის მიზნით, შეიქმნა შიდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო თემები შეიმუშავა. სამიზნე ჯგუფებთან, კერძოდ, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებსა და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარდა ფოკუს ჯგუფები. შემუშავდა დოკუმენტის ანალიზის ფორმა. მონაცემების დამუშავების შედეგად, მოხდება გამოკვეთილი საჭიროებების საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა.

მოსწავლის მოწყვლადობის იდენტიფიცირების ინსტრუმენტის გამოყენებით, კლასის დამრიგებლების მონაწილეობით, სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა

მოწყვლადობის განმსაზღვრელი ინდიკატორების შესახებ კითხვარების შევსება. შედეგად, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა იმ მოსწავლეთა იდენტიფიცირება, რომლებიც გარკვეული ტიპის მხარდამჭერი მომსახურების მიღებას საჭიროებდნენ. 2021 წლის მაისიდან წლის ბოლომდე, სოციალური მუშაკების მიერ გამოიკვეთა და ინდივიდუალური მუშაობა დაიწყო 333 მოსწავლესთან.

მოსწავლის სტატუსის შეჩერების მიმართულებით, 2021 წლის აპრილიდან წლის ბოლომდე, სოციალურმა მუშაკებმა, თბილისსა და რეგიონებში, რეაგირება მოახდინეს 140 მომართვაზე. შესწავლილი შემთხვევებიდან 66 შემთხვევაში, ბავშვი სასწავლო პროცესს დაუბრუნდა; 38 შემთხვევაში[2], მომზადდა დასკვნა სტატუსის შეჩერების თაობაზე; ხოლო დანარჩენ 36 შემთხვევაში, დაიწყო მომსახურების ინდივიდუალური გეგმის განხორციელების პროცესი, აქედან, 12 შემთხვევაში, მოხდა სხვა შესაბამისი უწყების ჩართვა.

[2] შენიშვნა: სტატუსის შეჩერების მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, გახდა მოსწავლის საზღვარგარეთ ყოფნა, ერთეულ შემთხვევაში - ატესტატის გატანა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთელი წლის განმავლობაში, სოციალური მუშაკების მიერ რეგულარულად ხორციელდებოდა სასკოლო აქტივობები, ისეთ თემებზე, როგორიცაა: საკლასო წესებისა და ფასეულობის შემუშავება; კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება; ემოციების გამოხატვა/იდენტიფიცირება; კონფლიქტების მართვა; ასერტულობა; ბულინგის/კიბერბულინგის, ნივთიერებათა ავადმოხმარების და ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგები; ადამიანის უფლებები; გაჯეტდამოკიდებულების გავლენები, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; პროფესიული ორიენტაცია და სხვ. ჩატარდა შეხვედრები მშობლებთან ქცევის მართვის სტრატეგიების, ბავშვის უფლებების, პოზიტიური დისციპლინის, აღზრდის სხვადასხვა სტილის და სხვა საკითხების შესახებ.

სოციალური მუშაკები სისტემატურად მართავდნენ შეხვედრებს პედაგოგებთან შემდეგ თემებზე: სარისკო ქცევების პრევენცია და მათზე რეაგირება, დესტრუქციული ქცევის, კრიზისული სიტუაციების მართვა; სკოლაში გაცდენების შემცირების წახალისება, კლასში მეგობრული გარემოს ფორმირება. ასევე, აწვდიდნენ მათ ინფორმაციას აღდგენითი მიდგომების შესახებ; ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე, კონსულტირებას უწევდნენ და სხვა დამატებით აქტივობებს ახორციელებდნენ.

სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სადისკუსიო, შემეცნებით თუ საინტერვენციო აქტივობებში ჩაერთო[3]: 30 704 მოსწავლე; 4 015 მასწავლებელი; 7 952 მშობელი და 571 ადმინისტრაციის წარმომადგენელი.



[3] შენიშვნა: ღონისძიებებში ჩართული ადამიანების რაოდენობა მოცემულია აქტივობების დაჯამებით. შესაბამისად, შესაძლოა, მონაცემებში ადგილი ჰქონდეს პიროვნებ(ებ)ის დუბლირებას.

არააკადემიური ვალდებულებების აღსრულებისათვის სკოლის გაძლიერებისა და სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, 2019-2021 წლებში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა საპილოტედ შერჩეულ 11 საჯარო სკოლაში განახორციელა ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის და აღდგენითი პროცესების დანერგვის მხარდამჭერი პროექტი.

პროექტის მიზანია: არააკადემიური ვალდებულებების აღსრულების მიზნით, სასკოლო კლიმატის გაუმჯობესება და მოსწავლეებში სოციალური უნარ-ჩვევების განვითარება, სასკოლო ცხოვრებაში თანაბარი შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფა, საკლასო გარემოს მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერება და კრიზისული სიტუაციების მართვაზე ორიენტირებული მუშაობა.

ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის პრევენციის პროექტის შეფასების მიზნით, 2021 წლის დეკემბერში, მოწვეული მკვლევარის მიერ დაიწყო პილოტირების შედეგების პოსტ-კვლევა, (პროცესს წინ უძღვოდა პრე-კვლევა). ამ მიზნით, განხორციელდა ჩაღრმავებული ინტერვიუები სკოლის დირექტორებთან; ჩატარდა ფოკუს ჯგუფები: მოსწავლეებთან, მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მანდატურებთან და პროცესში ჩართულ სპეციალისტებთან. დაიწყო მოსწავლეების მიერ მათთვის სპეციალურად მომზადებული კითხვარების შევსება. შედეგების კვლევის პროცესი 2022 წლის დასაწყისში დასრულდება.

საპილოტე პროექტის მიმდინარეობისას, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და საკონსულტაციო აქტივობებში ჩაერთო ასეულობით მოსწავლე, მშობელი და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი.

2021 წლის განმავლობაში, პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ტიპის საინტერვენციო, საინფორმაციო, საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო[4]: 29 342 მოსწავლემ; 8 057 მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა; 2 549 მასწავლებელმა და 211 ადმინისტრაციის წარმომადგენელმა.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ/ან მათი მხარდაჭერითა და სუპერვიზიით, საპილოტე სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები, კერძოდ:

მოსწავლეებისთვის - განხორციელდა თითოეულ კლასში ფასეულობებისა და ღირებულებების შეტანა; ჩატარდა ტრენინგი ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე; შეიქმნა სკოლის კლუბები; გააქტიურდა სკოლის თვითმმართველობები; გაიმართა შეხვედრები ადამიანის უფლებების თემაზე, პროფორიენტაციის საკითხებზე; ჩატარდა ემპათიის და ემოციების განვითარების აქტივობები; მოეწყო სხვადასხვა ტიპის კონკურსი, ასევე, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები; პროაქტიული, მისალმების და განხილვის წრეები და სხვა.

მასწავლებლებთან/ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან - ცნობიერების ამაღლების, უნარ-ჩვევების გაძლიერების, რისკების გამოკვეთის და ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: დესტრუქციული და ძალადობრივი ქცევის ამოცნობა და პრევენცია; ეფექტური კომუნიკაციიის უნარ-ჩვევები; ფსიქიკური ჯანმრთელობის ბაზისური ნიშნები; ძალადობისა და ბულინგის ნიშნების ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია; განვითარების თავისებურებები; სუიციდური ქცევის ნიშნები. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, კრიზისული სიტუაციების მართვის პროტოკოლის გაცნობის მიზნით. მოხდა LSCI მეთოდის შესახებ მასწავლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება. პედაგოგები გაეცნენ აღდგენით მიდგომებს, ბულინგის სქემას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

მშობლების მონაწილეობით - გაიმართა შეხვედრები და ტრენინგები შემდეგ თემებზე: ძალადობის, მათ შორის, ბულინგის ნიშნების ამოცნობა, რეაგირება და პრევენცია; ბავშვის განვითარების ეტაპები; მოზარდობის ასაკის თავისებურებები; დასჯა-წახალისება; პოზიტიური მშობლობა; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის პრევენცია. მოეწყო ფილმების ჩვენებები და დისკუსიები.

---

[4] შენიშვნა: საპილოტე პროექტის ფარგლებში ჩართული ადამიანების რაოდენობა მოცემულია აქტივობების დაჯამებით. შესაბამისად, შესაძლოა, მონაცემებში ადგილი ჰქონდეს პიროვნებ(ებ)ის დუბლირებას.

აღდგენითი მიდგომა სკოლებს სთავაზობს ახლებურ ხედვას, რომელიც ორიენტირებულია არა დასჯაზე/სახდელზე, არამედ ურთიერთობების აღდგენაზე, საჭიროებების მიგნებასა და გააზრებაზე, ურთიერთპატივისცემის დანერგვასა და მეგობრული გარემოს შექმნაზე. აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება უკეთესად სწავლებისა და სწავლის პროცესებს და ასევე, ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში კონფლიქტებისა და გამოწვევების შემცირებას.

სწორედ ამ მიზნით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა შეიმუშავა სკოლებში აღდგენითი მიდგომების დანერგვის გზამკვლევი. საპილოტე სკოლებში დაიწყო აღდგენითი პროცესების დანერგვა და წარმატებული გამოცდილების გაზიარება.

11 საპილოტე სკოლა ჩაერთო აღდგენითი პროცესების დანერგვით დაინტერესებულ სკოლათა შესახებ საინფორმაციო ბაზის ფორმირების პროცესში, რომელიც სკოლაში აღდგენითი პროცესების სამუშაო ჯგუფის ინიციატივით ხორციელდება. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმის ფარგლებში შეიქმნა.

2021 წელს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმში, სადაც მსოფლიოს სკოლებში აღდგენითი მიდგომების მოწინავე ექსპერტებს საქართველოს საჯარო სკოლებში აღდგენითი პრაქტიკის დანერგვის პროცესი გააცნო.

2021 წლიდან, მანდატურის სამსახურმა სასკოლო მედიაციის უპრეცედენტო პროექტი აამოქმედა. პილოტირების დაწყების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ექსპერტებთან.

საწყის ეტაპზე, სასკოლო მედიაციის განხორციელება საპილოტედ შერჩეულ, საქართველოს 29 საჯარო სკოლაში დაიწყო, მათ შორის, აჭარის, იმერეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის რეგიონებსა და თბილისში.

სასკოლო მედიაცია საგანმანათლებლო დაწესებულებაში აღდგენითი პროცესების, კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის საუკეთესო მექანიზმია. მისი მიზანია, ადრეული და ეფექტური ჩარევით, კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტა, პროაქტიული რეაგირება და პრევენცია. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები უძღვებიან.

2021 წელს, მანდატურის სამსახურის მიერ საპილოტე სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის პროგრამა 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისთვის, მტკიცებულებითი მეთოდის (EU DAP Unplugged Program) გამოყენებით. აღნიშნული მეთოდით, პირველ ეტაპზე, გადამზადდნენ პედაგოგები, ხოლო, წლის განმავლობაში, პროცესში მოსწავლეები ჩაერთნენ. საანგარიშო პერიოდში, მეთოდის გამოყენება დაიწყო 5 საჯარო სკოლის 6 კლასთან და ჯამში, მათთან 46 სესია ჩატარდა.

საპილოტე სკოლებში გაგრძელდა ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის პროგრამა 13 წელს ზემოთ ასაკის მოსწავლეებისთვისაც. საანგარიშო პერიოდში, პროგრამაში 7 საჯარო სკოლის 9 კლასი ჩაერთო. აღნიშნულ კლასებში პროგრამა სრულად განხორციელდა. პროგრამის დამატებით კლასებში განხორციელების მიზნით, გადამზადდა 6 პედაგოგი.



სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი წარმოდგენილია, მთელი საქართველოს მასშტაბით, 10 ლოკაციაზე (თბილისი - 2; თელავი; რუსთავი; გორი; ქუთაისი; ბათუმი; ახალციხე; ფოთი; ზუგდიდი). ცენტრი (სამმართველო) მაღალკვალიფიციურ, უფასო ფსიქოსოციალურ მომსახურებას უწევს

მოსწავლეებს, მათ მშობლებს და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი, რომლის მიზანია დროული და დაუყოვნებელი ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა, ასევე, კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების შესაბამისად, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა გააგრძელა მომსახურების მიწოდება ჰიბრიდული მოდელით, როგორც ფიზიკურ სივრცეში - კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით, ასევე ონლაინ - სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით.

2021 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა ახალი ვებ-გვერდი befriend.mes.gov.ge, რომელიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, სრული კონფიდენციალურობის დაცვით, ონლაინ ჩათის საშუალებით, მიიღოს კვალიფიციური ფსიქოლოგიური კონსულტაცია. ონლაინ კონსულტირებას ცენტრის მიერ დამტკიცებული პროტოკოლი არეგულირებს. ახალი ონლაინ პლატფორმის მიზანია, ასევე, ხელი შეუწყოს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე საზოგადოების, განსაკუთრებით - მოზარდების ცნობიერების ამაღლებას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

2021 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში სულ შემოვიდა 1955 ახალი შემთხვევა. აქედან, 1315 შემთხვევის რეფერირება განხორციელდა სკოლებიდან, ხოლო 640 ბენეფიციარმა თვითდინებით მიმართა ცენტრს, სხვა სუბიექტის მიერ გადმომისამართდა შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით და/ან შემთხვევა იდენტიფიცირებული იქნა ცენტრის თანამშრომლის მიერ. მომსახურება გაეწია ყველა იმ მოსწავლეს, რომლის მშობელმაც/კანონიერმა წარმომადგენელმაც აღნიშნული მომსახურების მიღების შესახებ თანხმობა განაცხადა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების შეფასება ადგილზე, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და პედაგოგიურ კოლექტივთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში გრძელვადიანი ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს. ამ მიზნით, 2021 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელდა 427 ვიზიტი საჯარო სკოლებში, მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მულტიდისციპლინარული მუშაობის კიდევ უფრო მეტად დახვეწისა და მომსახურების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა შეიმუშავა შემთხვევის მმართველის მიერ დამატებითი სპეციალისტის ჩართულობის უზრუნველყოფის

დოკუმენტი, რომელიც პროფესიონალთა მიერ (ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი/ფსიქიატრი) შემთხვევის მართვაში დამატებითი სპეციალისტის ჩართულობას არეგულირებს.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელთათვის ხორციელდება პროფესიული ზედამხედველობა, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტების გადაწვის პრევენციასა და მათ მიერ ეფექტიანი მომსახურების გაწევას. წლის განმავლობაში, ჩატარდა სუპერვიზიის 26 ინდივიდუალური და ჯგუფური სესია, როგორც სოციალური მუშაკებისთვის, ასევე ფსიქოლოგებისთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ 2021 წელს დაიწყო ფსიქოლოგთა ინტერვიზიის განხორციელება. გაიმართა ინტერვიზიის 50-მდე შეხვედრა.

საანგარიშო პერიდში, შემუშავდა თანამშრომელთა განგრძობითი განათლების სქემა და დაიწყო მათი გადამზადება სხვადასხვა ტრენინგ-კურსით.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქიატრთა უნარ-ჩვევებისა და ცოდნის გაღრმავების მიზნით, ცენტრის მიერ თანამშრომლები გადამზადდნენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა: კონსულტირება; ოჯახების კონსულტირება; პოზიტიური მშობლობა; ფსიქიკური ჯანმრთელობა; მაინდფულნესი; ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობა და პრევენცია (მოდიფიცირებული). ცენტრის რესურსით, გაიმართა საინფორმაციო სადისკუსიო შეხვედრა GEV-B მეთოდის (მიჯაჭვულობის კვლევისათვის ისტორიების დასრულების მეთოდი) შესახებ.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელთა ინტენსიური სამუშაოების შედეგად, მომზადდა LSCI-ის (ცხოვრების ციკლის კრიზისული ინტერვენცია) მეთოდის მასალები ქართულ ენაზე. LSCI არის საერთაშორისოდ აღიარებული, ინტერაქციული თერაპიული მეთოდი, რომელიც ბავშვებსა და მოზარდებს ეხმარება პრობლემური სიტუაციების სწავლის შესაძლებლობებად გარდაქმნაში, პრობლემური სიტუაციის, კრიტიკული მოვლენის ან სტრესული ინციდენტების დეესკალაციასა და დაძლევაში. ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სერთიფიცირებული LSCI თანამშრომლების მიერ გადამზადდა ცენტრის 59 თანამშრომელი.

ცენტრის ორმა თანამშრომელმა გაიარა ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიერ ორგანიზებული ონლაინ კურსი „ევროპული პრევენციის კურიკულუმი (European Prevention Curriculum (EUPC)“. კურსში, ასევე მონაწილეობდნენ ევროპისა და მეზობელი ქვეყნების ნივთიერებათა ავადმოხმარების პრევენციის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტები.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილი ტრენინგ-მოდულით, იმ საჯარო სკოლებისათვის, სადაც არ არის წარმოდგენილი მანდატურის

სამსახური, ხორციელდება სკოლის უფლებამოსილი პირების გადამზადება. საანგარიშო პერიოდში, გადამზადდა 51 უფლებამოსილი პირი.

2021 წელს ჩატარდა მშობელთა ფსიქოგანათლების სამი ჯგუფის ონლაინ შეხვედრა. ჯგუფებში სამუშაოდ გამოყენებულ იქნა ემოციური რეგულაციისა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების, ინტერპერსონალური ურთიერთობების გაუმჯობესებების ჯგუფური მოდულები.

აღსანიშნავია, რომ ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ბაზაზე, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, სამსახურთან გაფორმებული მემორანდუმებისა და საქართველოს სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკასა და სტაჟირებას გადიან.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, 2021 წელს, კონკურსის წესით, 77 ახალი მანდატური შეარჩია. ისინი თბილისისა და რეგიონების საჯარო სკოლებში გადანაწილდნენ. სულ, მოცემულ ეტაპზე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური 607 საჯარო სკოლაში, 2 კერძო სკოლასა და 2 პროფესიულ კოლეჯშია წარმოდგენილი.



შსს-ს აკადემიასთან თანამშრომლობით, ელექტრონული სატრენინგო პორტალის მეშვეობით, წლის განმავლობაში, გადამზადდა 423 მოქმედი მანდატური. მანდატურებმა ბავშვისა და მოზარდის განვითარების ფსიქოლოგიური ასპექტები, კონფლიქტების მართვის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები, შშმ პირებთან კომუნიკაციის თავისებურებები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები განახლებული სასწავლო მოდულების მიხედვით შეისწავლეს.

2021 წელს, მანდატურებმა, ძალადობისა და კიბერბულინგის გავლენებზე, პრევენციისა და რეაგირების საკითხებზე, VII-XII კლასის მოსწავლეებთან, დისტანციურ რეჟიმში, 6 455 საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრა ჩაატარეს. გაიმართა გაცნობითი ხასიათის 1 506

შეხვედრა I კლასის მოსწავლეებთან. I-VIII კლასის მოსწავლეებისთვის კი, საგზაო უსაფრთხოების თემაზე, 10 269 შეხვედრა ჩატარდა.

ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამით, 2021 წელს, ტრენერად კიდევ 19 მანდატური გადამზადდა. წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახურის ტრენერებმა 240 მოქმედ მანდატურს ჩაუტარეს ტრენინგების ციკლი ადამიანის უფლებების, ტოლერანტობის, მრავალფეროვნების და არადისკრიმინაციული მიდგომის შესახებ. აღნიშნულ საკითხებზე გადამზადებულმა მანდატურებმა სკოლებში, მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის, 150-მდე შეხვედრა გამართეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, ევროპის საბჭოსა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, 2019 წლიდან მოყოლებული, აქტიურად არის ჩართული კამპანიაში „მე ვირჩევ თანასწორობას“. 2021 წელს, თანასწორობისა და ტოლერანტობის

კვირეულის ფარგლებში, მანდატურის სამსახურმა საჯარო სკოლებში 50-მდე შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიება ჩაატარა.



გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით, საგანმანათლებლო დაწესებულების 14 მანდატური გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენერად გადამზადდა. მიღებულ ცოდნას ისინი, სამომავალოდ, სასკოლო ცხოვრებაში ჩართულ სხვა პირებს გაუზიარებენ. ტრენინგის მიზანია, ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოებაში საკანონმდებლო ბაზის აღსრულებასა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას; ასევე, ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენასა და მასზე მყისიერ რეაგირებას.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურის თანამშრომლებისათვის, ასევე ჩატარდა ტრენინგი სექსუალური შევიწროების საკითხებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული ორგანიზაციის - „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში; მათ შორის, აღნიშნული ორგანიზაციისა და კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის ერთობლივი პროექტის "სოციალურად დაუცველი ოჯახების გაძლიერება და მხარდაჭერა" ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსმა გელა გელაძემ და სამსახურის სხვა წარმომადგენლებმა აშშ-ის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. მსოფლიოში კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ვითარებიდან გამომდინარე, ქართული მხარე კონფერენციის მონაწილეებს ონლაინ რეჟიმში შეუერთდა. NASRO-ს კონფერენციაზე სასკოლო გარემოში უსაფრთხოების მხრივ არსებული გამოწვევები, კრიზისული სიტუაციების მართვა და პრევენციის მეთოდები განიხილეს, ასევე, მოსწავლეთა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე პანდემიის გავლენის თაობაზე იმსჯელეს.

2021 წლის განმავლობაში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, რეგულარულად იმართებოდა სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდებისა და რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებთან. საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდება კონკრეტული შემთხვევების ერთობლივი განხილვა.

კოორდინირებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, მანდატურის სამსახურმა, საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები გამართა თბილისის და რეგიონების 147 საჯარო სკოლის დირექტორთან. შეხვედრებზე განიხილებოდა სკოლებში უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული კამპანიის - „ნუ წაართმევ ბავშვობას“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებში, ნაადრევი ქორწინების საკითხებთან დაკავშირებით.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური სისტემატურად მონაწილეობდა საქართველოს პროკურატურის ინიციატივით შექმნილი არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის - „არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს“ სხდომებში, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ტენდენციები, არსებულ გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები განიხილებოდა.

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს მიღწეული პროგრესის მდგრადობისა და განვითარების მიმართულებით აქტიურ მუშაობას, რათა ხელი შეუწყოს უსაფრთხო, მეგობრული და თანასწორი სასკოლო გარემოს განმტკიცებას.